წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 32

ქ. წალკა; 08.12.2022 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი *გოჩა ბაჩატურიან*

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე..

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:25 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

2. წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა) პეტიციის განხილვა;

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის სიის რეგისტრაცია.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა ხაჩატურიანმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ფრაქციებს სხდომაზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 22 ნოემბრისა ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

2. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა ხაჩატურიანმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა) პეტიცია „წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაჩკოვში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 120[5]-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომჩეველთა) პეტიცია „წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაჩკოვში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ" განსახილველად გადაეგზავნოს წალკის მუნიციპალიტეტის მერს. განხილვის შედეგების შესახებ ეცნობოს საკრებულოს და პეტიციის წამრდგენ სუბიექტს.

3. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა ხაჩატურიანმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის სიის რეგისტრაციის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად გატარდეს რეგისტრაციაში წარმოდგენილი ოპოზიციის სია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი *გ.ხაჩატურიან*